საქართველოს საოჯახო მედიცინის

პროფესიონალთა კავშირი

თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57

ტელ: + 995 322 95 98 66

ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE

ASSOCIATION

57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia

Tel.: + 995 322 95 98 66

e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/16 **2/12/2021**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოს

რეცენზია

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექცია (COVID-19) დღესდღეობით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ბოლო ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში სულ დადასტურებულია COVID-19-ის 263 მილიონზე მეტი შემთხვევა, მათგან 5 მილიონზე მეტი ავადმყოფი მოკვდა. საქართველოში დღესდღეობით სულ დადასტურებულია COVID-19-ის 850 ათასამდე შემთხვევა და გარდაიცვალა 12 ათასზე მეტი ავადმყოფი.

პროფესორ თენგიზ ცერცვაძის ავტორობით განახლებულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 17 მაისის N01-155/ო ბრძანებით *დამტკიცებული* ***„ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მართვა მოზრდილ ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში“*** კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი).

ჯანმო-ს, აშშ ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტების, ამერიკის ინფექციურ დაავადებათა საზოგადოების, სხვა საერთაშორისო ავტორიტეტული ასოციაციების/საზოგადოებების COVID-19-ის მკურნალობისა და მოვლის გაიდლაინების/რეკომენდაციების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სხვა უახლესი ლიტერატურის შედეგების საფუძველზე ზემოთაღნიშნულ გაიდლაინში ავტორების მიერ განხორციელდა ცვლილებები.

გაიდლაინის განახლებულ ვერსიაში სრულყოფილადაა ასახულია COVID-19-ით, მათ შორის მძიმე და კრიტიკულად მძიმე, ავადმყოფების მკურნალობისა და მოვლის უახლესი მიღწევები და საერთაშორისო რეკომენდაციები. დამატებულია ახალი სამკურნალო საშუალებებით (ბარიციტინიბით, ტოცილიზუმაბით, ანტივირუსული მოქმედების მონოკლონური ანტისხეულებით და სხვ.) მკურნალობის საკითხები.

გაიდლაინი დიდ დახმარებას გაუწევს ქვეყანაში COVID-19-ით პაციენტების მკურნალობისა და მოვლის პროცესში ჩართულ ინფექციონისტებს, შინაგანი მედიცინის სპეციალისტებს, რეანიმატოლოგებს, ოჯახის ექიმებს და სხვ., COVID-19-ით პაციენტების მკურნალობის შემდგომი ოპტიმიზაციისა და გამოსავლების გაუმჯობესების საქმეში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოზე პროფესორ თენგიზ ცერცვაძის მიერ წარმოდგენილ **„ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მართვა მოზრდილ ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში“** კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) განახლებულ ვერსიას.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ “საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის” პრეზიდენტი